TBILISI MUNICIPALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

PROPERTY MANAGEMENT AGENCY

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

№ 01-4/23
"08" 08 2015

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე უძრავი ქონების (01.14.06.003.015.) კავშირი - ასოციაცია „აგორასთვის" (ს/კ: 202248175.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

ქ. თბილისის მთავრობის 29.07.15წ. #30.12.901. განკარგულებით და ქ. თბილისის საკრებულოს 12.08.15.წ #326 განკარგულებით დაკმაყოფილდა კავშირი - ასოციაცია „აგორას"განცხადებით (QN1317027) წარმოდგენილი თხოვნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 659 კვმ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული #1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.003.015.) პირდაპირი განკარგვის წესით კავშირი - ასოციაცია „აგორასთვის" (ს/კ: 202248175.) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.

ქ. თბილისის მთავრობის 29.07.15წ. #30.12.901. განკარგულების და ქ. თბილისის საკრებულოს 12.08.15.წ #326 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-78 დადგენილებით დამტკიცებული `ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.12.14წ. #19-73 დადგენილებით დამტკიცებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს განცხადება (QN1317027) და კავშირი - ასოციაცია „აგორას" (ს/კ: 202248175.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 659 კვმ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული #1 შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 01.14.06.003.015.).
2. უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდი განისაზღვროს 2 წლის ვადით.
3. უსასყიდლო უზუფრუქტის პირობები განისაზღვროს ბრძანების დანართით.
4. წინამდებარე ბრძანება, კავშირი - ასოციაცია „აგორას" (ს/კ: 202248175.) განცხადებასთან ერთად, გაცნობისთანავე გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული უზუფრუქტის პირობები.
5. უზუფრუქტის ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო და კავშირი - ასოციაცია „აგორა" (ს/კ: 202248175.).
6. წინამდებარე ბრძანებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **კარლო ლაფერაძე**

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge